ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3380438

ნომერი: AR1517411

თარიღი : 26.06.2017

გაცემის თარიღი : 06.07.2017

გაცნობის თარიღი : 06.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/26) / ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/29) / ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/030) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი გახოკიძე პ/ნ 01008002865
- ი. აბაშიძის N29

ორგანიზაცია:
- შპს ვ.ვ.ვ. კოდი: 203837535

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ბრძანება № 3278052
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.05.2017

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. გიორგი გახოკიძის 2017 წლის 26 ივნისის №AR1517411 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), პუშკინის ქ. N1-3 (ნაკვეთი 18/26, 18/29, 18/030)–ში საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მაისის №3278052 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი – კრწანისი), აპუშკინის ქ. N1-3 (ნაკვეთი 18/26, 18/29, 18/030)–ში, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 მაისიდან 2017 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), პუშკინის ქ. N1-3 (ნაკვეთი 18/26, 18/29, 18/030)–ში, სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 22.06.2017 წლის №ბ-19/01171491479-17 ბრძანებით შ.პ.ს. ,,ვ.ვ.ვ''-ს, შ.პ.ს. ,,ლიტ ჯეო ინვესტი''-ს, სს ,,მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკა''-ს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე. წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათების განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების, 62 მუხლის ,,პ'' პუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge